



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030159692078314

№ 01-116/ო

19 / მაისი / 2014 წ.

„ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - დანართი N1 თანდართული რედაქციით;
- ბ) „BCG ვაქცინაციის შემდგომი გართულებები ბავშვებში და მათი მართვა“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი N2 თანდართული რედაქციით;
- გ) „ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ბავშვებში“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი N3 თანდართული რედაქციით;
- დ) „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის პრევენციული მკურნალობა ბავშვებში“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი N4 თანდართული რედაქციით;
- ე) „ტუბერკულოზის მკურნალობა ბავშვებში“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი N5 თანდართული რედაქციით;
- ვ) „ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი ბავშვებში“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი N6 თანდართული რედაქციით;
- ზ) „ტუბერკულოზის მართვა ბავშვებში“ - ინფორმაცია პაციენტის მშობლებისათვის - დანართი N7 თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

A handwritten signature in black ink, appearing to be in Georgian script, located in the upper right quadrant of the page.

დავით სერგეენკო